



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #34

მაისი, 2014

გამოშვებაში
წაიკითხავთ

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დაძმობილების (TWINNING) პროექტი დაასრულა

1 მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დაძმობილების პროექტი დაასრულა

1



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, ავსტრიის ევროპული ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების სააგენტოსთან ერთად, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ დაძმობილების (TWINNING) პროექტის დახურვის ოფიციალური ღონისძიება გამართა.

2 მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სტენდი რუსთაველის გამზირზე

2

3 ელ.მმართველობის განვითარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მორიგი შეხვედრა

3

4 თბილისის ინტერნეტფორუმი 2014

4

4 ეროვნული ციფრული მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება

4

მიზანს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

ღონისძიება გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე ბურჭულაძემ**. დამსწრე აუდიტორიას სიტყვით ასევე მიმართეს საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის ელჩმა **სილვია მეიერ-კაუზიჩმა** და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ **ბორის იაროშევიჩმა**.

პროექტი სამ ძირითად ეტაპად იყოფოდა: 1) ელექტრონული მმართველობის განვითარების მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნებში ადაპტირებული პრაქტიკის საუკეთესო მოდელების ქართულ რეალობაში გადმოტანა; 2) შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტების დანერგვა; 3) ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა მძლავრი ინსტიტუციონალური მექანიზმის - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT.GOV.GE) მეშვეობით (გაგრძელება გვ.2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპარტნიორო
საკანონმდებლო
მაცნე

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ.1)

პროექტის ფარგლებში შედგა 75-მდე საექსპერტო მისია, ასევე 8 სასწავლო ვიზიტი, რომლის დროსაც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლები ელექტრონული მმართველობის განვითარებასთან, ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და საკანონმდებლო ბაზებთან დაკავშირებით ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ საუკეთესო გამოცდილებას გაეცნენ.

საექსპერტო მისიების დროს გამართულ შეხვედრებში აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სახელმწიფო უწყება, რომელიც საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების პროცესში მონაწილეობს. ევროპელი ექსპერტების მიერ ასევე ჩატარდა 2 გასვლითი სემინარი ქართული მედიის სხვადასხვა საშუალების წარმომადგენლებისთვის.

„პროექტის ძირითად მიზანს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის არსებითი დახმარების გაწევა წარმოადგენდა, რათა ეფექტიანად შევძლოთ ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის განხორციელება. აღნიშნული სტრატეგია სწორედ დამშობილების პროექტის ფარგლებში ევროპელი ექსპერტებისა და საქართველოს საჯარო სექტორის წარმომადგენლების აქტიური თანამშრომლობის შედეგად მომზადდა. ეს არის ელექტრონულის საქართველოს (sGeorgia) სტრატეგია, რომელიც 2014-2018 წლებზეა გათვლილი. პროექტმა ასევე შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზიარებინა ევროკავშირის ქვეყნებში ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა და დაგვეყარებინა მჭიდრო საქმიანი კონტაქტები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

პროექტი 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და 18 თვის განმავლობაში გრძელდებოდა, პროექტის ბიუჯეტი კი 1.2 მილიონ ევროს შეადგენდა.

„ელ-მმართველობის მიზანია საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდა. ელ-მმართველობა მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის სახელმწიფოსთან კომუნიკაციას აადვილებს, ამცირებს ხარჯებს და მნიშვნელოვნად აჩქარებს სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პროცედურებს. ამდენად, ტერმინი ელ-მმართველობა თანამედროვე სახელმწიფოს სიმბოლოდ მოიაზრება. მოხარულნი ვართ, რომ დამშობილების პროექტის ფარგლებში შესაძლებლობა მოგვცა 18 თვის მანძილზე ნაყოფიერად გვემუშავა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან და მთლიანად საქართველოს საჯარო სექტორის - სხვადასხვა სამინისტროებისა და სააგენტოების წარმომადგენლებთან.“ - **კრისტინა რუპი**, ავსტრიის ელ-მმართველობის ფედერალური აღმასრულებელი მდივანი, ავსტრიის ფედერალური კანცელარია.

პროექტი განხორციელდა ევროკავშირის დამშობილების (TWINNING) პროგრამის ფარგლებში.

რუსთაველის გამზირზე გამართულ პავილიონში მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE წარადგინა



დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით რუსთაველის გამზირზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პავილიონში მოქალაქეებს მთელი დღის განმავლობაში შეეძლოთ გაცნობოდნენ მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) მუშაობის პრინციპს და ადგილზევე გაეცლოთ რეგისტრაცია.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სტენდთან მოქალაქეებს ასევე საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ კიბერუსაფრთხოების ძირითად მიმართულებებს და მიეღოთ შესაბამისი ილუსტრირებული მასალა.

„მოქალაქის პორტალმა, რომელიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ არის შექმნილი, დიდი დაინტერესება

გამოიწვია. მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა დაინტერესებული ადამიანების ნაკადი, რომლებსაც ჩვენი თანამშრომლები მოქალაქის პორტალზე ადგილზევე არეგისტრირებდნენ (გაგრძელება გვ.2).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ.1)

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ დიდი მოწონება დაიმსახურა კიბერუსაფრთხოების თემაზე შექმნილმა ილუსტრირებულმა კალენდარმა, რომელიც ინტერნეტთან, მობილურ მოწყობილობებთან, ანტივირუსულ პროგრამებთან დაკავშირებით სასარგებლო ინფორმაციას იძლევა. – აღნიშნა **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

იუსტიციის სამინისტრო საკუთარი ქოლგის ქვეშ ყველაზე მეტ სახელმწიფო სერვისს აერთიანებს. იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სსიპ-ები მოქალაქეებს სწრაფ, ხარისხიან მომსახურებასა და გამარტივებულ ელექტრონულ სერვისებს სთავაზობენ.

სამუშაო ჯგუფების წევრებმა სხვა საკითხებთან ერთად ელ-საქართველოს სტრატეგიაში გასათვალისწინებელ საბოლოო შენიშვნებზე იმსჯელეს



ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების მორიგ შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა, ელ-საქართველოს (eGeorgia) 2014-2018 წლების სტრატეგიულ დოკუმენტში გასათვალისწინებელი საბოლოო შენიშვნები დააზუსტეს.

„ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტი წარმოადგენს მთავარ გეგმას, რომლის მიხედვითაც უნდა ვიმოქმედოთ, რათა უზრუნველყოთ საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების მაღალი დონე. ეს დოკუმენტი თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებისა და ევროპელი ექსპერტების ერთობლივი


მუშაობის შედეგად შეიქმნა და ჩვენ უკვე ვასრულებთ მისი საბოლოო ვერსიის დამუშავებას“, – აღნიშნა შეხვედრაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე **ირაკლი გვენეტაძემ**.

ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე ჯგუფის წევრები, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო მიმართულებას კურიერებენ, ასევე, გაეცნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ პროექტს, რომელიც ამავე სააგენტოს სერვისების მიღებას მობილური ცენტრების მეშვეობით ითვალისწინებს, რაც მოქალაქეებს გაუადვილებს აღნიშნული სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისებით სარგებლობის პროცედურას.

შეხვედრაზე იმსჯელეს ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული ხელმოწერის გააქტიურების საკითხებზეც, განიხილეს ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზაში შესატანი ცვლილებებიც. აღინიშნა, რომ საჭიროა პროცესში ჩართული ყველა უწყების შეთანხმებული და ეფექტიანი მუშაობა, რათა ელექტრონული მმართველობის განვითარებისთვის ეს ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი – ელექტრონული სერვისები და ელექტრონული ხელმოწერა – კიდევ უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული.

„ვინაიდან ხელმოწერა ადამიანის ნების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. ელექტრონულ ხელმოწერას ხომ იურიდიული ძალა აქვს და, რამდენადაც ასეთი ხელმოწერა ამარტივებს ურთიერთობებს, იმდენად მეტი ყურადღებაა საჭირო, რომ საკანონმდებლო დონეზე ყველაფერი გამართულად იყოს წარმოდგენილი“, – დასძინა **ირაკლი გვენეტაძემ**.

თბილისის ინტერნეტფორუმი 2014



24 მაისს თბილისში ინტერნეტფორუმი გაიმართა, რომელიც ბლოგერებს, ონლაინაქტივისტებს, დეველოპერებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებს აერთიანებდა. ფორუმის ფარგლებში დღის განმავლობაში ჩატარდა 9 სესია, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა თემაზე პრეზენტაციასა და შემდეგ დისკუსიას, სპიკერებისა და დამსწრეების მონაწილეობით. თემები მრავალფეროვანი იყო და ეხებოდა ყველაფერს - ბლოგინგს, ონლაინაქტივიზმს, ტროლინგს, ღია მმართველობასა და სამოქალაქო ჟურნალისტიკასაც.

ფორუმზე მომხსენებლად წარსდგა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის

სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი გვენეტაძე**. მან “ღია მმართველობასთან” დაკავშირებულ საკითხებზე და ამ პროცესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართულობაზე ისაუბრა, მაგალითად კი მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE დაასახელა, რომელის სხვა მრავალ მომსახურებასთან ერთად მომხმარებელს სახრლმწიფო უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის შესაძლებლობას აძლევს. “ღია მმართველობასთან” დაკავშირებული თემის განხილვამ, რომელშიც ჯამსტარტის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და IDFI-ს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნის სამოქმედო გეგმა „ციფრული საქართველოსთვის“



7 მაისს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა სემინარი „ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნის სამოქმედო გეგმა ციფრული საქართველოსთვის“.

სემინარს ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე პაპუნა უგრეხელიძე, თავდაცვის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერჯეტიკის სამინისტროებისა და დარგობრივი უწყებების წარმომადგენლები.

სემინარზე ქვეყანაში ეროვნული სივრცითი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული არსებული მდგომარეობა და პროექტის სამოქმედო გეგმა განიხილეს, რომელიც

ავსტრიელი ექსპერტების დახმარებით შემუშავდა. ასევე წარმოდგენილი იყო გეოპორტალის სადემონსტრაციო ვერსია, რომლის საშუალებით სახელმწიფო და კერძო სექტორი გეოსივრცით მონაცემებს მიიღებს.

სემინარი ჩატარდა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ევროკავშირის დამშობილების (twinning) პროექტის – „ელექტრონული მმართველობის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
 თბილისი 0102, საქართველო
 ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
 ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.